დოქტორანტის კოლოკვიუმის გაფორმების ინსტრუქცია

დოქტორანტის კოლოკვიუმი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს.
დოქტორანტის კოლოკვიუმისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

გვერდების რაოდენობა: 25-27 გვერდი,
ფურცლის ზომა – A4,
შრიფტის სახეობა – Acadnusx ან Sylfaen,
შრიფტის ზომა – 12,
სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5;
გვერდების ზომა: მარცხენა – 2,5, მარჯვენა – 1,5; ზემოდან და ქვემოდან – 2.

ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა უნდა დალაგდეს ნაშრომის ბოლოს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაიბეჭდოს:
წიგნების შემთხვევაში:
გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სრული დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.
მაგალითად:
კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., „მეცნიერება“, 1968

სტატიის მითითებისას – ავტორი ინიციალით, სტატიის სათაური; ჟურნალის ან კრებულის სრული დასახელება (გამოცემის ადგილისა და წლის მითითებით), რომელშიც სტატია გამოქვეყნდა.
მაგალითად:
ჩიქობავა ა., „ქართული ენის სტილისტიკის საკითხები“, ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., „მეცნიერება“ 1972, #4.

ციტირების წესი – მოყვანილი ციტატა ძირითადი ტექსტისაგან გამოიყოფა ბრჭყალებით, ციტირების დასასრულს მრგვალ ფრჩხილებში დაისმის ინდექსში სათანადო ნაშრომზე მიმთითებელი წიგნის ავტორის გვარი, გამოცემის წელი, რომელსაც ორწერტილით გამოეყოფა ნაშრომის გვერდის მითითება.
მაგალითად:
(ნიკოლი 2002: 161)